საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის

ბრძანება №94

2026 წლის 10 მარტი

ქ. თბილისი

ზოგიერთი ნორმატიული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

ა) „საპენსიო სქემის დამფუძნებლის საწესდებო კაპიტალისადმი ძირითადი მოთხოვნების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 1999 წლის 5 ოქტომბრის №42 ბრძანება;

ბ) „საპენსიო სქემის რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2000 წლის 17 მარტის №12 ბრძანება;

გ) „საპენსიო სქემის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2000 წლის 17 მარტის №13 ბრძანება;

დ) „არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებლის სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2000 წლის 3 ოქტომბრის №29 ბრძანება;

ე) „არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებლის სამეთვალყურეო საბჭოს წევრთათვის ინფორმაციის მიწოდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2001 წლის 12 ივლისის №19 ბრძანება;

ვ) „საპენსიო სქემის მონაწილეთა, სამეთვალყურეო საბჭოსა და სოციალური უზრუნველყოფის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ინფორმირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2001 წლის 12 ივლისის №20 ბრძანება;

ზ) „საპენსიო სქემების ანგარიშგების, არასახელმწიფო საპენსიო სქემების მონაწილეთა და მეანაბრეთა რეესტრის წარმოების წესის შესახებ“ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2004 წლის 16 ივლისის №33 ბრძანება.

თ) „დამსაქმებლის, დასაქმებულთა გაერთიანების და პროფესიული კავშირების მიერ საპენსიო სქემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2002 წლის 6 აგვისტოს №16 ბრძანება;

ი) „მუდმივი პენსიების დანაგროვის ფონდის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2006 წლის 8 თებერვლის №4 ბრძანება.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სსიპ საქართველოს დაზღვევის